



თეკენების ეკლესიის წინასარებაზილიტაციო არქეოლოგიური კვლევა
(დმანისის მუნიციპალიტეტი)

Pre-rehabilitation Archaeological Survey of the Tekenebi Church (Dmanisi
Municipality)

წიქარიშვილი მარიამი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე არქეოლოგიის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

არქეოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ნოდარ ბახტაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2025

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მირებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სატანადო წესების შესაბამისად“

აბსტრაქტი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა მდიდარია ხუროთმოძღვრულ სიძველეთა ნაშთებით, არქეოლოგიური ძეგლებით და სხვა მატერიალური თუ არამატერიალური ძეგლებით. თითოეულ მათგანს სჭირდება შესაბამისი კვლევა, შესწავლა, დაცვა და ცნობადობა. სამწუხაროდ მრავლადაა ქვეყანაში ისეთი არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც სათანადოდ არ ან ვერ შეისწავლეს და დღეს მათი ბედი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ამ ნაშრომში განხილული იქნება დმანისის მუნიციპალიტეტში არსებული „თეკენების ეკლესია“, რომელიც წარმოადგენს ქართული ქრისტიანული კულტურის ერთ-ერთ ძველ და მნიშვნელოვან ძეგლს. მკითხველი წინამდებარე ნაშრომში გაეცნობა ქვემო ქართლის ღირსშესანიშნაობებს, ამ რეგიონის ისტორიულ-გეოგრაფიულ მიმოხილვას, თეკენების ეკლესიის წინასარებაბილიტაციო კვლევებს და მათ მიმდინარეობას. ასევე თანმიმდევრულად იქნება წარმოდგენილი ის პროცესები, რაც ადგილზე სამუშაოების დაწყების შემდეგ ჩატარდა. ამ ძეგლის შესახებ სავსე და საანგარიშო ინფორმაციის სამაგისტრო თემის სახით დამუშავება შემომთავაზა ჩემმა ხელმძღვანელმა, პროფესორმა ნოდარ ბახტაძემ, რაზეც სიამოვნებით დავთანხმდი. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული სამუშაოების დროს მოპოვებული თუ შემთხვევით აღმოჩენილი არტეფაქტების შესახებ აღწერითი, გრაფიკული და ფოტო მასალა ამ დრომდე არ გამოქვეყნებულა და ქართულ საზოგადოებას ამ ეკლესიისა და მასზე ჩატარებული კვლევების შესახებ არ შეეძლო ინფორმაციის მოპოვება. ასე რომ, ჩემი, როგორც ამ ნაშრომის ავტორის მიზანია, პოპულარიზაცია გავუწიო ისეთ ძეგლებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ისტორიას ინახავენ და მეტ ადამიანს გაუჩნდეს მსურველი ადგილზე მათი მონახულებისა. სწორედ ასეთი ძეგლია დმანისში (რომელიც ტურისტული საკმაოდ აქტიური რეგიონია) სოფელ ტნუსში მდებარე ეს პატარა ეკლესია. ცხადია, ამ გამოკვლევამ შეიძლება მოკრძალებული წვლილი შეიტანოს აგრეთვე საქართველოს ამ მხარის შუა საუკუნის ეპოქის ისტორიის დაზუსტების საქმეში. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამ ეტაპზე თეკენების ეკლესია არ არის მოქმედი. ამ საკითხთან დაკავშირებით კი ქვემოთ ვისაუბრებ.

Abstract

The cultural heritage of Georgia is rich in the remains of ancient times, archaeological sites and tangible and intangible monuments of various cultures. Each of them requires appropriate research, study, protection and awareness. Unfortunately, there are many immovable archaeological sites in the country that have not been or could not be properly studied and their fate is currently under question. This paper will discuss the “Tekeni Church” in the Dmanisi municipality, which is one of the oldest and most important monuments of Georgian Christian culture. In this paper, the reader will get acquainted with the sights of Kvemo Kartli, a historical and geographical overview of this region, previous rehabilitation studies of the Tekeni Church and their progress. The processes that took place after the start of work on the site will also be consistently mentioned. The information, reports and photographic material I have at my disposal have not been published before, and the Georgian public has not yet been able to obtain information about this church and the research conducted on it, so my goal, as the author of this work, is to popularize such monuments that preserve the history of our country and to make more people want to visit it on site. This small church located in the village of Tnus in Dmanisi (which is quite a tourist region) is just such a monument. I would also like to note that at this stage the Tekeni Church is not operational. I will talk about this issue below.